ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსავლები	**252 485,9**	**183 150,5**	**72,5%**
გადასახადები	88 255,0	80 106,4	90,8%
გრანტები	115 195,6	53 794,7	46,7%
სხვა შემოსავლები	49 035,3	49 249,4	100,4%
ხარჯები	**182 622,3**	**101 747,0**	**55,7%**
შრომის ანაზღაურება	29 160,9	21 688,9	74,4%
საქონელი და მომსახურება	60 001,9	35 734,4	59,6%
პროცენტი	5 867,6	2 729,2	46,5%
სუბსიდიები	23 698,9	18 260,1	77,1%
გრანტები	15,0	3,1	20,7%
სოციალური უზრუნველყოფა	15 319,6	10 000,6	65,3%
სხვა ხარჯები	48 558,4	13 330,7	27,5%
საოპერაციო სალდო	**69 863,6**	**81 403,5**	**116,5%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**71 197,6**	**28 264,1**	**39,7%**
ზრდა	84 897,6	37 421,4	44,1%
კლება	13 700,0	9 157,3	66,8%
მთლიანი სალდო	**-1 334,0**	**53 139,4**	**-3983,5%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-27 809,8**	**38 746,2**	**-139,3%**
ზრდა	0,0	38 746,2	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	38 746,2	-
კლება	27 809,8	0,0	-
ვალუტა და დეპოზიტები	27 809,8	0,0	-
ვალდებულებების ცვლილება	**-26 475,8**	**-14 393,2**	**54,4%**
კლება	26 475,8	14 393,2	54,4%
საშინაო	26 475,8	14 393,2	54,4%
ბალანსი	**0,0**	**0,0**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსულობები	**266 185,9**	**192 307,8**	**72,2%**
შემოსავლები	252 485,9	183 150,5	72,5%
არაფინანსური აქტივების კლება	13 700,0	9 157,3	66,8%
გადასახდელები	**293 995,7**	**153 561,6**	**52,2%**
ხარჯები	182 622,3	101 747,0	55,7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	84 897,6	37 421,4	44,1%
ვალდებულებების კლება	26 475,8	14 393,2	54,4%
ნაშთის ცვლილება	**-27 809,8**	**38 746,2**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 192 307,8 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2022 წლის მთლიანი დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 72.2%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 80 106,4 ათასი ლარი (შემოსულობების 41.7%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 53 794,7 ათასი ლარი (შემოსულობების 28.0%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 49 249,4 ათასი ლარი (შემოსულობების 25,6%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე (პრივატიზებიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 9 157,3 ათასი ლარი (შემოსულობების 4,8%).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**183 150,5**	***95,2%***
1,1	გადასახადები	80 106,4	*41,7%*
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	53 794,7	*28,0%*
1,3	სხვა შემოსავლები	49 249,4	*25,6%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**9 157,3**	***4,8%***
ჯამი		**192 307,8**	***100%***

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



#	შემოსულობების დასახელება	2022 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	**შემოსავლები**	**252 485,9**	**183 150,5**	***69 335,4***	***72,5%***
1,1	გადასახადები	88 255,0	80 106,4	*80 106,4*	*90,8%*
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	115 195,6	53 794,7	*53 794,7*	*46,7%*
1,3	სხვა შემოსავლები	49 035,3	49 249,4	*49 249,4*	*100,4%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**13 700,0**	**9 157,3**	***9 157,3***	***66,8%***
ჯამი		**266 185,9**	**192 307,8**	***73 878,1***	***72,2%***

მიმდინარე წლის 10 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 72,5%-ია.





<u>შემოსავლები</u>

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 252 485,9 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 183 150,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 72,5%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

<u>**გადასახადები**</u>

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 80 106,4 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 88 255,0 ათასი ლარის 90,8%-ია, კერძოდ: ქონების გადასახადი - 37 563,0 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 42 543,4 თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 41,7%-ს.

<u>გრანტები და ფინანსური დახმარება</u>

2022 წლის 10 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 53 794,7 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 115 195,6 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 53 794,7 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი 28 802,4 ათას ლარს, სპეციალური ტრანსფერი 24 796,7 ათასი ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 195,6 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების (გრანტები) წილი 28,0%-ია.

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2022 წლის საპროგნოზო მოცულობა 49 035,3 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49 249,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100,4%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 25,6%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 7 312,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 5 699,5ათასი ლარი;

- **რენტის** სახით მიღებულია 1 612,9 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 31 887,0 ათასი ლარი, აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით - 31 721,6 ათასი ლარი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 1 048,5 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** - 1,7 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - 3,0 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 27 377,4 ათასი ლარი;

-**კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი** - 1,7 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის** - 101,4 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 3 186,6 ათასი ლარი;

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი -1,3 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 165,4 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 8 271,4 ათასი ლარი.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მობილიზებულია 1 778,6 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



<u>**არაფინანსური აქტივების კლება**</u>

2022 წლის 10 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 9 157,3 ათას ლარს შეადგენს, რაც გემის 66,8%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამულ ჭრილში

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე** 2022 წლის 10 თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 22 760,0 ათასი ლარი, მათ შორის:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1 342,0ათასი ლარი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 4 287,8 ათასი ლარი;
- სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 17 122,4 ათასი ლარი;
- წვევამდელთა ტრანსპორტირება - 7,7 ათასი ლარი.

- **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება** 65 141,7 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 24 546,1 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 12 891,0 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 7 895,2 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი - 13 605,8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 409,6 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 4 363,3 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 1 430,7 ათასი ლარი.

- **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება** 16 812,0 ათასი ლარით, მათ შორის:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 8 701,9 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 8 110,1 ათასი ლარი;

- **განათლების სფერო დაფინანსდა** 16 446,7 ათასი ლარით, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდა განათლება - 16 368,5 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 64,1 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 14,1 ათასი ლარი.

- **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** 10 265,1 ათასი ლარით, მათ შორის:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 4 306,2 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 1 740,5 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 1 915,4 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 121,4 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 46,0 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 135,5 ათასი ლარი.

- **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა** 16 116,5 ათასი ლარით, მათ შორის:

- ჯანმრთელობის დაცვა - 4 127,5 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 11 388,5 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 600,5 ათასი ლარი.

- **ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება დაფინანსდა** 905,3 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ქალაქის ურბანული განვითარება - 905,3 ათასი ლარი.

- **მუნიციპალური სერვისების განვითარება დაფინანსდა** 5 114,3 ათასი ლარით, მათ შორის:
  - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 5 114,3 ათასი ლარი.

2022 წლის გადასახდელების ნაწილში 10 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 153 561,6 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის - 293 995,7 ათასი ლარის 52,2%-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

#	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი (10 თვე)	შესრულების %	%-ლი წილი
I	**ხარჯები**	**182 622,3**	**101 747,0**	**55,7%**	**66,3%**
1	**შრომის ანაზღაურება**	**29 160,9**	**21 688,9**	**74,4%**	**14,1%**
2	**საქონელი და მომსახურება**	**60 001,9**	**35 734,4**	**59,6%**	**23,3%**
3	**პროცენტი**	**5 867,6**	**2 729,2**	**46,5%**	**1,8%**
4	**სუბსიდიები**	**23 698,9**	**18 260,1**	**77,1%**	**11,9%**
5	**გრანტები**	**15,0**	**3,1**	**20,7%**	**0,0%**
6	**სოციალური უზრუნველყოფა**	**15 319,6**	**10 000,6**	**65,3%**	**6,5%**
7	**სხვა ხარჯები**	**48 558,4**	**13 330,7**	**27,5%**	**8,7%**
II	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**84 897,6**	**37 421,4**	**44,1%**	**24,4%**
III	**ვალდებულებების კლება**	**26 475,8**	**14 393,2**	**54,4%**	**9,4%**
გადასახდელების ჯამი		**293 995,7**	**153 561,6**	**52,2%**	**100%**

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 21 688,9 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 14,1%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 35 734,4 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 23,3%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2 729,2 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1,8%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 18 260,1 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 11.9%.

გრანტების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 3,1 ათას ლარს.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 10 000,6 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 6.5%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 13 330,7 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 8.7%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 37 421,4 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების _ 24.4%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 14 393,2 ათასი ლარი, ხვედრითი წილი _ 9.4%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები (10 თვის საკასო შესრულება 101 747,0 ათასი ლარი)